აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 57

05/10/2020 ქ. ბათუმი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიის რეგისტრაციაში გატარების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 41-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 74-ე მუხლის მე-11 პუნქტის და საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ გენერალური მდივნის მიერ 2020 წლის 01 ოქტომბერს წარმოდგენილი (უსკოში რეგისტრაციის №01-26/130) განცხადების საფუძველზე, **ვადგენ:**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო სუბიექტის **„ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“** პარტიული სია.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

პარმენ ჯალაღონია
თავმჯდომარე